

572
973/2

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՊԱՐԿՈՒՄԻ



572/2

33

1973 ՈՅԵՅՅՈՐ ՈՒ

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ

საახალწლო

მარიულ ჭანჭურია
 გაუმარჯოს ახალ წელს,
 საახალწლო სიმღერებს!
 ნადვისსე რომ მოგვიროს,
 გაუმარჯოს იმ ხელებს!
 გაუმარჯოს უეჭლა ბავშვს,
 ვისაც დედა იფიცებს! —
 სსხეიმოდ მართულებს
 დიიდ გოგონებს, დიიდ ბიჭებს!
 გაუმარჯოს ჰაწიებს —
 ახალ დებს და ახალ ძმებს!
 საქართველოს მიწაზე —
 გაუმარჯოს ახალ წელს!
 ამ დღეს უნდა შევრიგდეთ,
 სუ ვიქნებით უმძრანად!
 გოზინაზეის ნაჭერი
 გამომართვი, თუ ძმა ხარ!
 თოვლის ზაზამ ტკბილები
 გაუმზადა იმ ცეცქებს,
 ვინაც უკეთ იმღერებს,
 ვინაც უკეთ იცეკვებს!
 ჭრელმა სერზანტინებმა
 მთლად დარბაზი დასხეს,
 და მღერიან ნორჩები:
 — გაუმარჯოს ახალ წელს!..





ერთი ზავთარს...

გიორგი პაპიაშვილი

ნახატები ზაჰრ ლინსაძისა

ორ ღღეს ბარდნიდა და მეტრამღე მო-
თოვა...

— ასეთ თოვლიან ამინდში, ნეტავი სად
აფარებს თავს ნადირი? — შეეკითხა ონისიმე
პაპას შვილიშვილი.

— მგელი, დათვი. მელა, ტურა, მაჩვი ტყე-
ებსა და ღრეებში დაძრწიან, სოროებში ძვრე-
ბიან, — უპასუხა მოხუცმა, — ნადირთ შორის
ყველაზე მეტად შესაბრალისია ირემი, შეე-
ლო... ისინი უმეტესად გამოქვაბულებს, ტყეს
ეტანებთან...

— პაპა, ახლოს გინახავს ირემი და შეე-
ლო? — დაინტერესდა აჩიკო.

— როგორ არა, ბევრჯერ. ჩვენი საკარმი-
დამო ხომ სოფლის ბოლოშია, ათიოდე წლის
წინათ ისე მოთოვა, რომ საშუალო სიმაღ-
ლის ადამიანი იმაღლებოდა... მეორე დღით,
უცნაური და შემზარავი ბღავილი მომესმა.
გავვიდ გარეთ და რას ვხედავ! — ღობეზე

ირმებს თავები ვაღმოვყუთ. დამინახეს თუ
არა, შემომბღავლეს და შევლას ითხოვდნენ...
მათმა ნაღლიანმა თვალებმა მაშინვე მიმა-
ხვედრეს, რომ თოვლმა და შიმშილმა ისინი
აიძულა მთიდან ბარად ჩამოსულიყვნენ...
ერთი თვის განმავლობაში სოფლის დიდ-პა-
ტარა უზიდავდა თივას, მარილს, სდარაჯობ-
და მათ, მაგრამ როგორც კი ოდნავ დათბა,
თოვლი გადნა, ირემები გაიქცნენ, გაუჩინარ-
დნენ.

— რატომ გაიქცნენ?

— მათ ხომ თავისუფლად ნავარდი უყვართ
მთებსა და ტყეებში.

— ნადირი ხომ შექამთ?

— რას იზამ, შვილო, ამ ქვეყნად ასეა.

თეთრწვერიანი ონისიმე პაპა აგიზგიზებულ
ბუხართან ზღაპარავით ტკბილად უყვებოდა
შვილიშვილს ირემების ამბავს. აჩიკოს ჩადიდა
კიდევ...



12143

ბაკურიანი

თინათინ კვიციანი

ჩქარა, ჩქარა, ზატარებო,
მიამურეთ ბაკურიანს.
სადაც სასაღებს, მთელ მინდამოს,
თოვლის ქუდი დახურვიათ.
სადაც თოვლის ელვარებებს
თვალი დაუხელებია.

ქურქმოსსმული ზატარები
თითქოს დათვის ბელებია.
ერთი კიდეც წაქცეულა,
ფიჭვის მინას გაკრულია.
აბა, რა ჯობს, ბამბასავით
გადახეწილ ბაკურიანს.

— აჩიკო, შეილო არჩილ!—დილაადრია-
ნად აღვიძებდა პაპა,—აღვიქი, აბა, მოდი, რა
გაჩვენო!

სარკმლიდან გაიხედა აჩიკომ, ისევ თოვ-
ლა. იგი ადგა, ჩაიცვა და პაპასთან ერთად
გავიდა გარეთ...

— ხედავ, შეილო,—მიუთითა ირმის ჯოგ-
ზე,—ეზოს გარეთ, თივას რომ შეექცევიან,
შულამისას მოგვადგენენ!..

ნამძინარევი არჩილი სარკმელთან იდგა.
იგი სიზმარში კი არა, ცხადად ხედავდა ცოც-
ხალ ირმებს.



ბუხს!.. ბაახს!..

გივი ძნალაძე

უჰ, დედასა, რა თოვლია!..
ვისაც გძინავთ—გაიღვიძეთ დროა!
დუდე, ზაზა, ტატო, ლია,—
ფანჯრებიდან შეჰხარიან თოვას.

გუნდაობა გაჩაღდება—
პა, პა, პა, პა!..
ბუხს! და—თავში!
ბახს! და—ზურგში!
ბუხს!.. ბაახს!..
რა კაცია,
ვინც ამ ჰაერს არ ჩაყლაპავს,
ვინც ბებრულად მიუჯდება ბუხარს.

აჰ, დილილმე,
რა თოვაა,
რა ქარია!
— ვინ გვაკლია?
— სუყველანი აქ არიან!..
— ზაქრო არ ჩანს.
— გვარს ნუ ვიტყვით—რა გვარია!
გარეთ გამო, შე ზარმაცო ზაქარია!

ნახტი ლ. ხარაფიშვილისა





ჭალაკა კასი



პაპი პარტილაშვილი ნახატები რაჰვზ სუხიანიძისა

ირაკლიმ ბურთი იყიდა. გახარებული შინ რომ მიდიოდა, სანდრო შეხვდა.

— ბიჭოს, რა კარგი ბურთი გაქვს!—უთხრა სანდრომ.

ირაკლიმ ბურთი თავმომწონედ შეათამაშა.

— ბურთიც ასეთი უნდა!—თვალს ვერ აშორებდა სანდრო.

— სად ვითამაშოთ? წავიდეთ სადმე!

— მოდი, ცოტა ხნით აქ ვითამაშოთ!—შეეხვეწა სანდრო.

ირაკლი ერთ ხანს ყოყმანობდა:—ქუჩაში თამაში არ შეიძლება, გაგვიჯავრდებიანო, მაგრამ ბოლოს მაინც დაეთანხმა.

ბიჭებმა ბურთის თამაში გააჩაღეს. ერთი-ორჯერ კი გაჰკერეს-გამოჰკერეს ბურთს ფეხი და წკუპ!—იქვე ღია ფანჯარაში შევარდა.

— რა უნდა ვქნათ?—შიშით წამოიძახა ირაკლიმ.

— რა ჩემი ბრალია, ბურთისთვის ხომ არ მითქვამს, მაინცდამაინც ფანჯარაში შევარდიმეთქი!—თავის მართლება სცადა სანდრომ.

— შენ არ მითხარი, აქ ვითამაშოთ?

— მერე რა, რომ...

— სადმე დავიმალეთ.—თქვა ირაკლიმ.

ის იყო ბიჭები კედელს უნდა მოფარებოდნენ, რომ ფანჯარაში ჭალარა კაცმა გამოჰყო თავი. ბურთი გადმოისროლა.

ირაკლიმ ხელი დაავლო ბურთს, ჭალარა კაცს მადლობა გადაუხადა და სანდროს თვალით ანიშნა, წავიდეთო.

ორივენი იქაურობას გაეცალნენ.

მეორე დღეს ბიჭებმა ბურთით ხელში ნაცნობ სახლთან ჩაიარეს. კაცი ფანჯარასთან იჯდა.

— ბიჭებო, დღეს ბურთს რატომ არ თამაშობთ?—გადმოსძახა ჭალარა კაცმა.

— არა, ძია, სხვაგან ვითამაშებთ.

— აქ ითამაშეთ!—თქვა კაცმა და რაფას ილაყვებით დაეკრძო. მე მსაჯი ვიქნები, ოღონდ ვიდრე დაიწყებდეთ, ერთი კოლოფი პაპიროსი მომიტანეთ,—აბა, ფულიც... თან ვიმსაჯებ, თან მოეწევი.

...ბიჭები კარგა ხანს თამაშობდნენ... უცებ სანდროს ფეხი დაუცურდა და ასფალტზე გაიშოტა. როცა წამოდგა, თეთრი ხალათი სულ მტვერში ჰქონდა ამოვანგლული და ფეხიდან სისხლი მოსდიოდა.

ორივენი შეწუხდნენ... ირაკლიმ სცადა, ხელით გაეწმინდა ხალათი.

— სახლში არ გინდა მისვლა!—ბუზღუნებდა სანდრო და მტკივან მუხლზე იცქირებოდა.

— აბა, ამოდით ჩემთან!—გადმოსძახათ კაცმა.

სანდრომ ზემოთ აიხედა, ირაკლიმ რალაც გადაულაპარაკა და ორივენი კიბეს აუყვანენ.

ბიჭებს კარი ღია დაუხვდათ. მორიდებით შევიდნენ და შეცბუნებულები ზღურბლთან აიტუზნენ: ჭალარა კაცი ხეივანის ეტლში იჯდა და ილიმებოდა, არც ერთი ფეხი არ ჰქონდა.

— აბა, შემოდით, რას გაჩერებულხართ!—ღიმილით უთხრა ყმაწვილებს და ეტლის ბორბლები ხელით შემოაბრუნა, სტუმრებს ოთახში შეუძღვა.

ბიჭები უხერხულად ისხდნენ, არც ერთი ხმას არ იღებდა...

— აბა, ჯერ მითხარით, რა გქვიათ?

— ირაკლი:

— შენ?

— მე—სანდრო!

— სანდრო!—გაიმეორა კაცმა.—არა, უშავს,



ფეხბურთს კარგად თამაშობთ, თქვენწელა რომ ვიყავი, მეც მიყვარდა ფეხბურთის თამაში. მაშინ ისეთი კალთუკის ბურთები გვქონდა, ფეხებიდან სულ სისხლი ვედლიოდა!—გაიცინა ჭალარა კაცმა,—მარცხმა არ უნდა შეგაშინოთ, ეგ არაფერია,—მიუხლზე შეხედა სანდროს,—გაიზრდები და დაგავიწყდება.

სანდროს სულაც აღარ ახსოვდა ნატკეპნი მუხლი, შიშნარევი მზერა მისდაუნებურად ჭალარა კაცის ეტლისაკენ გაურბოდა, რომელზეც, უფხონო მამაკაცი იჯდა.

გვიან გამოვიდნენ ბიჭები ჭალარა კაცის ბინიდან... მათ უკვე ბევრი რამ იცოდნენ ამ კაცზე, იმ აღამიანებზე, რომლებიც სიცოცხლეს წირავდნენ ფაშისტებთან ბრძოლაში, რომ მათ შევილებსა და შევილიშვილებს კვლავ ბედნიერად და თავისუფლად ეცხოვრათ.

ერთმანეთს უხმოდ დაშორდნენ, შინაც უხმოდ დაწვენი დასაძინებლად.

* * *

— შენ დარეკე!

— არა—შენ!

— ჰე, მოდი!—ერთმანეთს აქეზებდნენ კარის წინ ზარის ღილაკთან ატუზული ბიჭები.

ეს იყო მეორე დღეს, და ეს ბიჭები, ალბათ მიხვდით, სანდრო და ირაკლი იყვნენ.

ჭალარა კაცმა ისევ ღიმილით გაალო კარი, ისევ ხელით მოაბრუნა ეტლის ბორბლები და სტუმრებს შეუძღვა.

— დაჯექით!

— არა, ჩვენ... ჩვენ დასარჩენად არ გვცალია, სკოლიდან მოვდივართ... — დაბნეულად ამბობდა ირაკლი...

— სკოლიდან მოვდივართ!—უხერხულად დაუმოწმა სანდრომ...

— ჩვენ გვინდოდა... ბაპიროსი მოგვეტანა, თუ...—ერთად აღულულულდნენ ბიჭები...

ჭალარა კაცს გაეღიმა:

— ბაპიროსი... ჯერ მაქვს... თუმცა, ჰო, მიმიტანეთ, ვიდრე თქვენ შინ მიხვალთ და გაკვეთილებს დაამზადებთ, მანამდე კიდევ გამითავლებია...—ჯიბიდან ხურდა ფული ამოიღო.

სანდრო და ირაკლი ეზოში ჩამოვიდნენ.

— ბიჭებო! არ დაგავიწყდეთ და ამაღამ უბაპიროსოდ არ დამტოვოთ...

ჭალარა კაცი ავიანზე გამოვიდა და მიმავალ ბიჭებს თვალი გააყოლა.



ნახატი ვაჟა ლაშაბაშვილისა

თავნება

გარი აპრაიშივილი

გაუნარა დედას
ციფუნია ციფვი,
დაიუნარვა ტეეძი
თაუნება და ბრიფვი.
სიდან ხეზე სკუნ, სკუნ,
სად წავიდა მარტო?
ემებს, ემებს, ემებს,
დედა ციფვი დარდობს.
ციფუნას კი ახლა
აღარც ახსოვს სახლი,
დაეძინა ხეზე
სტუნაობით დაღლილს.





ქურდული და მისი აღივლ-მამული

პარპო თომაძე

ნახატი გუჩია უფულებასი

— ბოსტანში წავიდეთ, ჩვენი ადგილ-
მამული უნდა გიჩვენოთ,—უთხრა ბაჭიას
დედა კურდღელმა.

ბოსტანში ექვსი კვადი იყო ჩამწყრივე-
ბული.

— კარგად დინსოძე, აი, ეს ორი კვა-
ლი ჩვენია,—ანიშნა ორ განაწირა კვალ-
ზე,—ეს ოთხიც—ჩვენი სასლიკაცების, ცან-
ცარასი და ბანცალასი.

დედა-შვილი თავის კვალზე ერთ ქორფა
კომბოსტოს თავს მიუცუცქდნენ და გემრიე-
ლად ანრაბუნებდნენ. უცებ დედა კურდღელ-
მა გუხზე კაცი დაინახა, მხარზე თოფგადე-
ბული ბოსტანისაკენ მიდიოდა.

— აბა, ახლა გვეყოფა რაცა ვჭამეთ!
აქედან მოვცოცხოთ, თორემ შავი დღე დაგ-
ვადგება,—უთხრა ბაჭიას დედა კურდღელმა
და ბოსტნიდან ფაცხაფუცხით მოჭკურცხ-
ლეს.

როცა სამშვიდობოზე გავიდნენ, ბაჭიამ
ჭკითხა დედას:


— შენ არა თქვი, დედი, ჩვენი ადგილ-
მამულიაო?! რატომ შეგვეჭმინდა, ანუ
ფაცხაფუცხით რად გამომაქცუნე?

— შე სულელო,—უური მოიფხანსა დედა
კურდღელმა,—ადგილ-მამული კი ჩვენია,
მაგრამ ბოსტნის ჰატრონი ის თოხიანი
კაცი.

ბატონები

თეატრისა ყოიძია

— ბატონები ნეტავი
სად არიან, ბებია?
— დასკუპულან ბუსონის წინ,
თბებთან და თბებთან!



თხილამუხი

ჯანსუღ ნიჟარაძე

ჰაუ, რამდენი თოვლია!
ჰაუ! რამდენი ფიფქია!
ჩვენი ცოტნე და ფიქრია
თხილამურებით მიქრია.



მეჭი

ალექსი ხაშიშვილი

ლეკოს რომ ვვლარ დაეწია,
თავს იმართლებს მექი:
— იმას ოთხი ფეხი ჰქვს და
მე მქვს ორი ფეხი!



ღაბივი

გეან ბარდუაშვილი

ღათუმა თუგა თაფლიტყლეზიამ:
— ეგებ, ცსოფრება წინ მიდის...
არც წაბლი, აღარც წიწიბო,
არც თხილი, აღარც სიმინდი.
რას იზამ, ჩემო ბატონო,
უნდა მოგებნო ბუნაგო,
ტყე-ველი უნდა დავტოვო,
ვიძინო გასაფსულამდი.



ბელელი

კარგი ხარ, ბებოს ბედელი,
სამთრამდის შედუსლებელი,
ჩინო, ჩაძიხო, ჩურჩხლედე,
თხილა სანატრუნბელი.





ყველაზე კარგი კაპა

გურამ ლოჩიაშვილი

იმ კრელ ქვეყანას ერთი გაუშაძლარი, მდიდარი, ბოროტი მეფე განაგებდა. გადახედავდა თავის ავლა-დიდებას და ვეზირებს უბრძანებდა:

— აბა, წაიღეთ, წამოღით და ქონება მომიტანეთო.

ვეზირებიც ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ დაძრწოდნენ და სცა რაიმეს მოიხელთებდნენ, ტომარაში თავს უკრავდნენ ხოლმე. მეფე ჯერ ხარბად გადახედავდა შემეურულ ქვაბებს, დაგრეხილ კოვზებს, გაბზარულ ჯამებს, აათვლიერებდა, ჩაათვლიერებდა და აიშრიზებოდა:

— ეს რაა, ეს რად მინდაო.

— სხვა არაფერი არა აქვთო და, დიღო მეფეო, — მძაბლად დაუკრავდა თავს მთავარი ვეზირი.

— წაიღეთ, წაიღეთ, გადაყარეთო, — ამბობდა მეფე. მერე იტყუოდა:

ნახატები პახანა გულისაშვილისა

— ვინმეს ხომ არ გავუღანძლივარ, რაზე ტუღი ხომ არ უთქვამთ ჩემზეღაო?

— არა, არა, დიღო მეფეო.

— მაშ, ხალხს ვყვარებივარო?

— შენით უღვათ სული, მეფეო.

„რა საყვარელი მე ვარო“, — გაიფიქრებდა მეფე და ვეზირებს დაუცაცხანებდა: — აბა, ერთი არ მოგიყვანიათ ჩემი გამლანძღავი, სულ თავებს დაგაყრვენიებთო.

დაძრწოდნენ ვეზირები ქვეყნად.

ქალაქგარეთ ერთი პატროსანი, გამრჯე კაცი ცხოვრობდა. ხნავდა, თესავდა, რწყავდა, მკიდა, პური მოჰყავდა. საქონელს ზრდიდა, ვაზს ახარებდა. ხალხი უყვარდა, ხალხში დაიარებოდა. რანაირი გამოთქმა გინდა, იმას რომ არ სტოდნოდა.

იჯდა ერთხელ თავისი ქობის წინ, ბარს ლე-



სავდა. ჩამოიარა დიდმა ვეზირმა, გაიფიქრა, ეგებ ამას დასცდეს მეფეზე რამეო და ჰკითხა:

— ჩვენი მეფე ხომ კარგიაო?

მიხვდა რატომაც ვაგამსალათა ვეზირი და მიუგო:

— დიდი გერგილიანი მეფეაო.

— რაო? ეს რა თქვიო!— შეუტია ვეზირმა.

ვათოკილი მიჰგვარეს მეფეს. თორმეტ კარში გაატარეს, ცხრაკლიტული შეაღეს, მიწისქვეშა გვირაბებით იარეს, ფარდა გადასწიეს და გამოინდა კიდეც ის ჩვენი მეფე.

— მეფევ, შენზე თქვა, გერგილიანიაო.

— თავი მოჰკეთეთო, — ბრძანა მეფემ.

— რატომ, მეფევ, — მიშვილად მიუგო გამრჯე კაცმა, — ცუდი ხომ არაფერი მიკადრებიაო.

— მიკადრებია რა არიო.

ბევრი სიტყვა არ იცოდა მეფემ. ანდა, საიდან უნდა სცოდნოდა, ქუჩაში ის არ გადიოდა, ხალხს არ ენახებოდა, ძეხორციელს არ ესაუბრებოდა იმ თავისი ვეზირების ვარდა.

— რა და, ცუდი არაფერი მითქვამსო, მეფევ, — აუხსნა კაცმა.

— მართლაო? — ვეზირებს მიუბრუნდა. იმით მხრები აიჩინეს.

— წადით და სიტყვის პაპა მომგვარეთო.

სიტყვის პაპა ერთი თმაწვერდათოვლილი ბრძენი მოხუცი იყო. რომელი სიტყვა გინდა, იმას არა სცოდნოდა. მოიყვანეს თავისი სუფთა ქოხიდან, მეფეს წარუდგინეს. ასეო და ასეო, უთხრეს, ამ კაცმა მეფეზე თქვა, გერგილიანიაო.

— მერე, რალს ერჩით, — გაიკვირვა სიტყვის პაპამ, — გერგილიანი მოხერხებულ, საზრიან

ადამიანს ნიშნავსო.

— ტყუილად შემაწუხეო?—თვალეები დაუბრიალა ვეზირს მეფემ.

— მეც მომაცდინაო,—თქვა კაცმა,—სახნავსათესი მქონდაო.

— ჰოდა,—ვეზირს უბრძანა მეფემ,—მოიხსენი შენი ბექელი და მაგას... არა, არა, მე მომეცო.

რაღა ეთქმოდა ვეზირს, ბექელი სულ ხენეშა-ხენეშით წაიძრო თითიდან.

ის დღე იყო და, გადაეკიდა გამარჯუ კაცს ვეზირი.

ერთხელაც, უტრიალა, უტრიალა, და დაღლილი, მისავათებული კაცი ხის ძირას დასასვენებლად რომ ჩამოჯდა, მივიდა და უთხრა:

— მაშ, ჩვენი მეფე გერგილიანიაო?

— დიდი ქველმოქმედიაო,—მიუგო კაცმა.

— რაო? ახლა კი გიჩვენებ სერისსაო,—დაეკადნა ვეზირი.

ისევ მიჰგვარეს მეფეს.

— დილო მეფეც, ამან თქვენზე თქვა... როგორა თქვი?

— ქველმოქმედია-მეთქი.

— ჰო, ქველმოქმედიაო!

— თავი მოსქერთო.

— რატომ მეფეც,—მშვიდად მიუგო კაცმა,—ცული არაფერი მიკადრებიაო.

მოაციდინეს ისევ სიტყვის პაპა, მეფესთან მიიყვანეს.

— ქველმოქმედს კარგ კაცზე იტყვიან,—აუხსნა სიტყვის პაპამ მეფეს,—ქველმოქმედი სიკეთის ჩამდენსა და გულკეთილს ნიშნავსო.

— ისევ ტყუილად შემაწუხეო?—დაუცაცხანა ვეზირს მეფემ,—ახლავე შეიხსენი ქამარი და მაგას... არა, არა, მე მომეცო.

სულ კვენსა-კვენსით გაუწოდა ვეზირმა ძვირფასი თვლებით მოოქვილი ქამარი. ვულში ბოღმა ჩაიხვია, გამარჯუ კაცს უფრო გადაემტერა.

ერთ მშვენიერ დღესაც უტრიალა, უტრიალა და, საღამო ხანს დაღლილმა კაცმა რომ ჩაიძინა, გააღვიძა და დაუყვირა:

— ჩვენი მეფე ზომ ქველმოქმედიაო!

— ვაღი, თავი გამანებეო,—გაბრაზდა კაცი,—შენცა და შენს მეფესაც თავში მტრედები გიფრენეო.

მაშინ კი გაიხარა ვეზირმა. დასტაცეს მეომრებმა გამარჯუ კაცს ხელი და სულ კინწისკვრით მიუყვანეს მეფეს:



— ასეო და ასეო, შენზე თქვა, თავში მტრედები უფრენენო.

მოკურცხლა მაშინვე შიკრიკმა, სიტყვის პაპას ყოველივე ამცნო. ისიც მეფის კარზე გაჩნდა. ახელ-დახედა გამრჯე კაცს. შეუთვალეირა ნაჯაფი ხელები, ნათელი შუბლი; თვალში მოუვიდა—სიტყვის პაპას გამრჯე ხალხი უყვარდა.

ეს კაცი როგორმე უნდა დავიხსნაო, გაიფიქრა და მეფეს უთხრა:

— ასეთი გამოთქმა თუ გავიგია, მეფევე, თავში ბზე უყრაო.

— არაო.

— როგორა გგონია, ცუდია თუ კარგია.

— ალბათ ცუდიაო.

— ჰოდა, ვის თავშიაც მტრედები დაფრინავენ, იმას თავში ბზე აღარ ექნება—გაჰკრავენ, გამოჰკრავენ მტრედები ფრთებს და გამოანიავენენო.

— მაშ ამ კაცს ჩემზე კარგი უთქვამსო?

— დიხ, მეფევე. ამ კაცს უთქვამს, მეფეს თავში ბზე არ უყრაო.

ესიამოვნა მეფეს სიტყვის პაპის ახსნა-განმარტება, უცებ ვეზირი გაახსენდა და გაბრაზდა:

— წადი, წადი აქედან, შე...შე ცუდო, შე-

ნაო,—სხვა სიტყვა აღარ იცოდა. აიკრა იმანაც თავისი გულა-ნაბადი და გადაიკარგა.

სიტყვის პაპა და ის გამრჯე კაცი კი მეფემ სასახლეში დატოვა. იმათ დიდად არ ებოტანებოდათ სასახლეში ყოფნა.

მეფეს ზღვათა ხელმწიფის ასულის ქება გავგო და იმისი სიყვარული გულს ჩავარდნოდა. ზღვათა ხელმწიფეს კი ეთქვა, მხოლოდ და მხოლოდ ქკვიან კაცს გავატან ჩემს ქალს, სხვას არავისო. ჰოდა, ამ ჩვენმა მეფემაც სიტყვის პაპასა და გამრჯე კაცს უბრძანა, კარგი სიტყვა-პასუხი უნდა მასწავლოთო.

სიტყვის პაპა ბრძენია და განსწავლული. ქვეყნად ისეთი არაფერია, იმან რომ არ იცოდეს, მაგრამ ხანდახან ამ მეფისთანა სულელს რომ გადაეურება, თანაც ის სულელი რაიმეს მკვახედ რომ უბრძანებს, სიტყვის პაპას ჩუმ-ჩუმად ჩაცი-ნებაც უყვარს. ჰოდა, ეგრე არ უნდა ბრძანებო, გაიფიქრა სიტყვის პაპამ და გამრჯე კაცს თვალი უყო. ისიც მაშინვე მიუხვდა და მეფეს ბევრნაირი გამოთქმა შეასწავლეს, ოლონდ სუყველაფერი პირიქით აუხსნეს. თეთრზე ამბობდნენ, შავიაო, კარგზე ცუდს ეუბნებოდნენ და ცუდზე—კარგს. მეფემაც თუთიუშვით დიხეპირა ეს





სიტყვები და გამოთქმები, ძვირფას ეტლში გაიფ-
გამა და ზღვის ნაპირს მიაღწა.

ზღვათა ხელმწიფე წყლიდან ამოვიდა, მზეზე
თვალეში მოჭუტა, ხავსის მოსახსამი შეისწორა
და მფეფ აათვალღერ-ჩათვალღერა. მაშინვე მიხვ-
და, ვისთანაც ჰქონდა საქმე და ჰკითხა:

— რა იყო, რად დამიძახეო.

— ჭკვიანი ვარ და შენი ქალი უნდა გამაძა-
ნოო.

— საიდან იცი, ჭკვიანი რომ ხარო.

— საიდან ვიცი და იქიდან, რომ ჰოტროველა
ვარო.

— რაო?—უყრებს არ დაუჯერა ზღვათა ხელმ-
წიფემ,—ვინა ვარო?

— ვინა ვარ და, ჰოტროველა და გაგრია
ვარო.

ზღვათა ხელმწიფესაც უყვარდა ხანდახან გან-
ზე ჩაციენება:

— ყოჩაღ, შენაო,—უთხრა.

— მაშ, მაშო,—გული მოეცა მეფეს.

— ჩემი ასულის წაყვანა თუ გნებავს, კარგ
ქკუაზე უნდა იყო.

— ჰოო, მშვენიერ ქკუაზე ვარ,—გაიბღინმა
მეფე.—ქკუაზე აფრიალ ვარო.

— როგორ გამოხვედი ასეთი ჭკვიანიო,—ჩაი-
ფხუუნა ზღვათა ხელმწიფემ.

— როგორ და თავში სულ მტრედები მიფრე-
ნენო.

— ოფოფებიც სომ არ გიფრენენო?

— მუჟეს ერთი-ორი ეგეთიცაო,—იხტიბარი არ
გაიტება მეფემ.

— მაშ, თავქარიანი ყოფილხარო.

— ვარ და მერე ეგრეო?! თავში სულ ქარ-
ბორბალა მიტრიალებსო.

— ეგ მშვენიერი გამოთქმები ვინ გასწავლაო.

სიტყვის პაპამ და ერთმა გამრჯე კაცმაო.

ჩაეცინა ზღვათა ხელმწიფეს. მერე ჩაფიქრდა



და უთხრა:

— ახლა სასახლეში წადი, ის გამრჯე კაცი
აქ გამოგზავნე და შენთან იმას გამოვატან ქალ-
საო.

ამაყად დაბრუნდა მეფე სასახლეში. მიაღწინა
გამრჯე კაცი ზღვათა ხელმწიფესთან. უცადა,
უცადა, პატარძალს, მაგრამ არავენ ჩანდა. ის დღე
ღამედ რომ გადაიქცა, ასე ეგონა, მთელი წელი
გავიდაო და გინდაც წელიწადი გასულიყო, რო-
მელი ქკუათამყოფელი მიუვიდოდა—გამრჯე კა-
ცი ზღვათა ხელმწიფის ასულთან ქორწილობდა,
სიტყვის პაპა კი...

სიტყვის პაპას დიდი უზარმაზარი, ქვეყნისტო-
ლა ხურჯინი აქვს. ფერად-ფერადი სიტყვებით
სავსე, დადის, დაიარება დედამიწის ზურგზე და
ვინც უფრს კარგად დაუგდებს, მარგალიტივით
სიტყვებს უბოძებს ხოლმე. სიტყვას კი რა არ
შეუძლია!—ადამიანთა გაბედნიერება, ნუგეში,
ალერსი, სიყვარული, გამხნელება. მათაა *დანგ-
რევა და ქალაქების გაშენებაც შეუძლია. სიტყ-
ვის პაპას ბუნება და ფიქრი უყვარს, წიგნების
კითხვა და ტკბილმოდობარითა სმენა.

და, თუკი უფრს დაუგდებთ, სიტყვის პაპა
თქვენს საყვარელ თოვლის პაპასავით, უამრავ
სახუქარს გიბოძებთ, და განა მხოლოდ ახალ
წელს? არა, არა, ყოველ დღე, ყოველ წუთს,
მთელი თქვენი ლამაზი სიცოცხლის მანძილზე.









მამა

ნაწარმო

ბებო, აღბეჭდვას
ჩემი კარგო ბებო.
მინდა, მტკვრი გადაწმინდო,
სახლი ვამოწმებ!
ოდონდ დედას ნუდარ ვეწვი,
რომ გამიტყდა სურა...
მოდო, იცი, ვეწვამო
დავბრლოთ მურას!





თავსატყენი


ცარიელი უჯრედები შეავსეთ ქართული ზღაპრების სახელწოდებით.

შეადგინეს ქ. თბილისის გ. ტაბიძის სახელობის 51-ე სკოლის მოსწავლეებმა ნანა და ნინა ლომიძეებმა.

ს ვ უ ს ი



“ ვ ”




“



ს



ქ ი უ



“

ბ

შეადგინა ვანის რაიონის სულორის საშ. სკოლის მოსწავლე მია ლომიძემ.

მოგზო რედაქტორ შობაძე მანანიაძის

საბავშვო ჟურნალი „მეგობარი“ შედგენილია ორივე ნაწილიდან, რომელიც ერთად წარმოადგენს „მეგობარს“. ჟურნალი წარმოადგენს მოსწავლეთა სასარგებლოდ და განსაკუთრებით მათთვის, ვინც უყვარს მწიგნობრობა. ჟურნალი გამოდის ყოველი კვირა.

გაზეთი „მეგობარი“

„მეგობარი“ გამოდის ყოველ კვირა. მისი გამომცემელია საბავშვო ჟურნალის „მეგობარი“ გამომცემელი ი. ბერიძე. მისი მისამართი — 14 კვარტი, გ. ბერიძის ქუჩა — 93-41-90, 93-98-15, 93-10-32, 93-98-17, სამხ. რედაქციის — 93-98-10, გამომცემელი — 93-98-18, სამედიცინო — 93-98-16. გაზეთის გამომცემელია ი. ბერიძე. მისი მისამართი — 14 კვარტი, გ. ბერიძის ქუჩა — 93-41-90, 93-98-15, 93-10-32, 93-98-17, სამხ. რედაქციის — 93-98-10, გამომცემელი — 93-98-18, სამედიცინო — 93-98-16.

ს.გ.პ. 03-98
გამომცემლობა
Издательство
для детей Грузии



„ჩემი რაჭა“—ნახატი ირინე აბუთიძისა, 7 წ. რუსთავი.



„ჩემი სოფელი“—ნახატი ქეთევან როსტომაშვილისა, 6 წ. რუსთავი.



„სოფლის ზღვი“—ნახატი ნათელა კაპანაძისა, 10 წ. გურჯაანის რაიონი, სოფ. ჩალაუბანი.

6/29/26



„ბავშვები მარწყვს კრეფენ“—ნახატი გია კუპაძისა, 6 წ. ცხაკია.



„ზოგონა კრეფს ყვავილებს“—ნახატი ალა ხინჯარასა, 6 წ. ცხაკია.



„გემი ზღვაზე“—ნახატი გელა კაპარავისი, 6 წ. ცხაკია.

